ქ. თბილისი
№11/0622

27 ივნისი 2022 წ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

სააგენტოს 2022 წლის 1 ივნისის #21/2161 წერილის თანახმად წარმოგიდგენთ შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებულ სკრინინგის ანგარიშს.

ამასთან, გთხოვთ იხილოთ შენიშვნების თანახმად ანგარიშში შეტანილი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია:

#	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შენიშვნები	შპს ენვისოს კომენტარი
1	წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობის განხორციელების ადგილის shp ფაილები	გათვალისწინებულია, იხილეთ დანართად ელექტრონული სახით
2	სკრინინგის განცხადებას, უნდა დაერთოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში;	გათვალისწინებულია, იხილეთ დანართი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„28" 06 2022
№ 21708

3	სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილის თანახმად, საპროექტო ტერიტორია ხვდება ამერიკის საელჩოს 2000 მეტრიან შეზღუდვაში. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ამერიკის საელჩოსთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;	გათვალისწინებულია, იხილეთ დანართი
4	დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილის შესახებ, სიტუაციურ რუკაზე დატანით;	გათვალისწინებულია, იხილეთ სკრინინგის ანგარიში, თავი 2.4
5	სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების სავარაუდო სახეობების, დროებითი განთავსებისა და შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია	გათვალისწინებულია, იხილეთ სკრინინგის ანგარიში, თავი 4.1.3
6	დოკუმენტში განხილული უნდა იყოს ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის პროცესში ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით	გათვალისწინებულია, იხილეთ სკრინინგის ანგარიში, თავი 4.1.2.1

7	4.1.3 თავში აღნიშნულია, რომ „სამეურნეო-ფეკალური წყლები გაიწმინდება ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის საშუალებით“, შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობის საკითხი.	გათვალისწინებულია, იხილეთ სკრინინგის ანგარიში, თავი 4.1.4
8	სკრინინგის განცხადებაში განხილული ზოგადი გეოლოგიური ნაწილი მოიცავს ქ. თბილისის მთლიან ტერიტორიას, ხოლო უშუალოდ საპროექტო დერეფნის და მიმდებარე არეალის აღწერა მოკლებულია კონკრეტიკას. დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბებიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მთლიანი ტერიტორიის გეოლოგიური პირობების განხილვა საჭიროებას არ წარმოადგენს.	გათვალისწინებულია, იხილეთ სკრინინგის ანგარიში, თავი 3.2.4.1

დანართი:
1. სკრინინგის ანგარიში
2. ანგარიშის ელექტრონული ვერსია
3. shp ფაილი;
4. წერილი თბილისის მერიიდან
5. წერილი ამერიკის საელჩოდან (თარგმანი თან ერთვის)

პატივისცემით,

გურამ კვარაცხელი